დასკვნა:**დ12.37220771**
თარიღი:**22/03/2022**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა,

ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

დ ა ს კ ვ ნ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ განიხილა 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. კომისია აღნიშნავს:

1. განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური პროექტების განხორციელების მაჩვენებელი უმეტესწილად შესრულებულია. მათი შესრულების ფაქტიური მაჩვენებელი მერყეობს 91 % დან 95% ფარგლებში.

2. ცალკეული პრიორიტეტების ფარგლებში პროგრამების და ქვეპროგრამების შესრულების ფაქტიური მაჩვენბელი საკმაოდ არათანაბარია. მაგ:

-პრიოტიტეტი "კულტურა, რელიგია, ახალგაზრული და სპორტული ღონისძიებები" შესრულებულია 91,1 % . მასში შემავალი ცალკეული ქვეპროგრამების განხორციელების ფაქტობრივი მაჩვენებელი ძალიან დაბალია: პროგრამა 05-04 " ახალგაზრდული პროგრამები „შესრულდა 3,5%, ხოლო პროგრამა 05-03 „ტურიზმის ხელშეწყობა" 1,2%. ასევე დაბალია სპორტული და კულტურული პროგრამების განხორციელების ფაქტობრივი მაჩვენებელი.

კომისიას მიაჩნია, რომ აღნიშნული ქვეპროგრამების შეუსრულებლობა განპირობებულია კოვიდ პანდემიით გამოწვეული ობიექტური მიზეზებით.

- პროგრამა " განათლება" გათვალისწინებული პროექტების განხორციელების მაჩვენებელი განისაზღვრა 91,2 % . ხოლო მისი ქვეპროგრამის 04-02 „ზოგადი განათლების ხელშეწყობა" შესრულებულია 73,9 პროცენტული პუნქტით. ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიში არ არის მოცემული შესაბამისი განმარეტება თუ რამ განაპირობა აღნიშნული ქვეპროგრამის შეუსრულებლობა (მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სკოლებში, მცირე

მოცულობის კაპიტალური პროექტების განხორციელება (შშმ პირების გადაადგილებისათვის ადაპტირებული პირობების შექმნა, სველი წერტილების მოწყობა და სხვა).

- პროგრამა „მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება“ შესრულებულია 66,7 %. აღნიშნული მაჩვენებლი მთლიანი პრიორიტეტის“ სოციალური პროგრამების ‘’ შერულებასთან შედარებით (90%) საკმაოდ დაბალია.

კომისიას მიაჩნია, რომ პროგრამის „მრავალშვილიან ოჯახების დამხმარება ‘’ შეუსრულებლობის მიზეზი შეიძლება იყოს მისი არასწორი დაგეგმა.

გ ა დ წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა:

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, კომისიამ ჩათვალა მხარი დაუჭიროს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცებას.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი